გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი N3

ქ. გარდაბანი 27.04.2026 წ

13:00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **დავით ჭინჭარაული.**

სხდომას ესწებოდნენ კომისიის წვრები:

1. ვუგარ მამედოვი
2. ოთარ გავაშელიშვილი
3. თორნიკე ქავთარაძე
4. შახადატ მეხრალიევი
5. იოსებ ძამნაშვილი
6. გუსეინკულუ მუსაევი
7. საბაილ მამედოვი
8. ილხამ ბაირამოვი
9. არაზ ვალიევი
10. ნიჩატ ისმაილოვი

სხდომას არ ესწრებოდა-0

1. მალხაზ ვახტანგიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასამტკიცებლად დააყენა დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა- პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“.

განხილულ იქნა

საკითხი 1.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 23 აპრილის №18-182611343 წერილით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა- პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკითხის რეგულირების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ 2025 წლის 2 ივლისს მიღებული „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მიზანია შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ადამიანისა და ცხოველისთვის უსაფრთხო საარსებო გარემოს ფორმირებას. კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს განესაზღვრათ ვალდებულება, შეიმუშაონ და დაამტკიცონ შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესები.

დადგენილების პროექტის მიღების მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიზანია გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, ადამიანისა და ცხოველის უსაფრთხო თანაარსებობის უზრუნველყოფა და ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტების დანერგვა. დოკუმენტი ადგენს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის სავალდებულო პირობებს, მკაფიოდ მიჯნავს პატრონიანი, მიკედლებული და უპატრონო ცხოველების სტატუსებს და განსაზღვრავს მეპატრონეთა და მიმკედლებელთა პასუხისმგებლობას ვაქცინაციაზე, სტერილიზაცია-კასტრაციასა და საზოგადოებრივი სივრცეების ჰიგიენურ დასუფთავებაზე. ამასთანავე, წესი კრძალავს ცხოველთა მიტოვებასა და მათ მიმართ სასტიკ მოპყრობას, ამკაცრებს კონტროლს მომეტებული რისკის მქონე ძაღლების ყოლაზე და უზრუნველყოფს უპატრონო ცხოველთა პოპულაციის მართვას ჰუმანური მეთოდებით, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხო და სტაბილური საარსებო გარემოს შექმნა.

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს“, „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა მოქმედ საკანონმდებლო აქტებს.

იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის გამოცემა:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა- პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“.

“ -პროექტის გატანას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-11

წინააღმდეგი-0

კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2026 წლის 27 აპრილის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხები შემდგომი განხილვის მიზნით, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს ხსდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: / დავით ჭინჭარაული/